# ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ

# ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

მუნიციპალიტეტი: ბოლნისი

ქვეყანა: საქართველო

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘ
2018

## მერის მიმართვა

ბოლნისის მუნიციპალიტეტს უაღრესად მნიშვნელოვანი შესაძლებლობა მიეცა ჩართულიყო ევროკავშირის ინიციატივაში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG). აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, ჩატარებული პრაქტიკული სასწავლო კურსებიდან მიღებული ცოდნით, ექსპერტთა გამოცდილების გაზიარებით და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით მომზადდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა (LEDP), რომელიც მიზნად ისახავს სისტემური ცვილებების მოხდენას ადგილობრივი ეკონომიკის ხელშეწყობისთვის.

ჩვენთვის ევროკავშირთან თანამშრომლობა დიდი პატივი და ამავდროულად დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან ვაცნობიერებთ მმართველობის იმ პრინციპების მნიშვნელობას, რომლებიც უკვე  წარმატებით დაინერგა და განხორციელდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ღრმად გვწამს, რომ ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება და კარგი პრაქტიკის დანერგვა იქნება გარანტი იმისა, რომ ეფექტური ნაბიჯებით ხელი შევუწყოთ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში, ყველა ეტაპზე, თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, რაც აღნიშნულ დოკუმენტს კიდევ უფრო ღირებულს  და საპასუხისმგებლოს ხდის.

გამოვთქვამ მზაობას, რომ ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG)“ ფარგლებში, კერძო და არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით განვახორციელებთ სამოქმედო გეგმაში გაწერილ ღონისძიებებს, რითაც შევქმნით ბიზნესისთვის ხელსაყრელ პირობებს, თანხების ინვესტირებით მოვახდენთ  კვალიფიციური კადრების გადამზადებას, შევქმნით ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურას და განვახორციელებთ მარკეტინგულ ღონისძიებებს.

**ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი**
**დავით შერაზადიშვილი**

***დოკუმენტი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირთათვის.***
**გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ:**
***სახელი:*** *მერი აბრამიშვილი*
***თანამდებობა:*** *ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკის სამსახურის პროექტების მართვის განყოფილების უფროსი*
***მისამართი:*** *ქ.ბოლნისი ს.ს.ორბელიანის ქუჩა N106*
***ტელეფონი:*** *(+995 358) 22555*
***ელ-ფოსტა:*** *bolnisimunicipality@bolnisi.gov.ge*
***ვებ-ბგვერდი:*** *http://bolnisi.gov.ge*

## 1.მოკლე შეჯამება

ბოლნისის მუნიციპალიტეტი თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობით, სომხეთის რესპუბლიკასთან და დედაქალაქის მილიონიან ბაზართან სიახლოვით, ნოყიერი სასოფლო-სამეურნეო მიწებით, მდიდარი ბუნებრივი რესურსებით (ძვირფასი ფერადი ლითონები, სამშენებლო მასალები: ბაზალტის, ტუფისა და გრანიტის ქვები, მინერალური წყლები), მრავალფეროვანი ტურსტული ძეგლებით, მრავალეთნიკური მოსახლეობით, განსხვავებული კულტურითა და ტრადიციებით, ბიზნესის დაწყების გამარტივებული პროცედურებით ქმნის საუკეთესო გარემოს სხვადასხვა სექტორში ახალი ბიზნესების დასაფუძნელბად და ადგილობრივი ეკონომიკის გასავითარებლად. შესაბამისად, ყოველწლიურად იზრდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მოქმედ საწარმოთა რაოდენობა, წარმოებული პროდუქციისა და შემოსავლების მოცულობა. თუმცა, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს სუსტად განვითარებული ტურისტული და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ცოდნის ნაკლებობა, ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, კერძო და საჯარო სექტორებს შორის სუსტი კომუნიკაცია და მეწარმეთა ცნობიერების დაბალი დონე ბიზნეს ადმინისტრირების საკითხებში.

მუნიციპალიტეტში ტურისტული ნაკადების ზრდის ტენდენცია, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშემწყობი პროგრამები სოფლის მეურნეობის დარგში და მცირე და საშუალო მეწრმეობის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები ბოლნისის მუნიციპალიტეტს აძლევს შესაძლებლობას თავისი ძლიერი მხარეების გათვლისწინებით, გახდეს საქართველოს ერთ-ერთი ეკონომიკურად სწრაფად მზარდი მუნიციპალიტეტი, რომელიც გამორჩეული იქნება თანამდეროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობით, მზარდი სამუშაო ადგილებით, მოდერნიზებული ეკონომიკით, მიმზიდველი ტურისტული, საინვესტიციო და საცხოვრებელი გარემოთი. ამისათვის, ბოლნისის მუნიციპალიტეტმა დაისახა სამი სტრატეგიული მიზანი: **1)** აგროწარმოების განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივი პროდუქტების პოპულარიზაცია; **2)** მუნიციპალიტეტისთვის მიმზიდველი საინვესტიციო და ტურისტული იმიჯის შექმნა; **3)** დამწყები მცირე და საშუალო ბიზნეს საქმიანობების ხელშეწყობა.

სტრატეგიული მიზნების მისაღწევად განსაზღვრული ღონისძიებები მოიცავს ფერმერების, მცირე და საშუალო საწარმოების შესაფუთი დანადგარებით მომსახურების უზრუნველყოფას, კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბებას, მეწარმეთა ბიზნესის ადმინისტრირების უნარების გაუმჯობესებას და ბიზეს საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებას, ქ. ბოლნისის ისტორიული უბნის განვითარებას და ადგილობრივი პროდუქტების გამოფენა გაყიდვებისა და ფესტივალების მოწყობას, რომლებიც დაფინანსდება ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში მიღებული გრანტით, ცენტრალურ მთავრობასთან და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობით.

## 2. შინაარსი


| | |
|---|---|
| მერის მიმართვა | 1 |
| 1.მოკლე შეჯამება | 2 |
| 2. შინაარსი | 3 |
| 3. ცხრილების, დაიგრამების, შემოკლებების და დანართების ჩამონათვალი | 4 |
| 3.1. ცხრილები | 4 |
| 3.2. დიაგრამები | 4 |
| 3.3. შემოკლებები | 4 |
| 3.4. დანართები | 4 |
| 4. გეგმის შესავალი | 5 |
| 5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი | 6 |
| 6. ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზი | 7 |
| 6.1. ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება | 10 |
| 6.2. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია | 10 |
| 6.3. წვდომა ფინანსებზე | 11 |
| 6.4. მიწა და ინფრასტრუქტურა | 12 |
| 6.5. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები | 13 |
| 6.6. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა | 14 |
| 6.7. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი | 14 |
| 7. SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი | 16 |
| 8. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ხედვა და სტრატეგიული მიზნები | 17 |
| 9. სამოქმედო გეგმა | 18 |
| 10. დაფინანსების სქემა | 22 |
| 11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები | 23 |

## 3. ცხრილების, დანართებისა და შემოკლებების ჩამონათვალი

### 3.1. ცხრილები

ცხრილი 1. საწარმოთა კლასიფიკაცია მათი ზომების მიხედვით.....7
ცხრილი 2. მზარდი სექტორები (ქვესექტორები) &მათი გამოწვევები .....10
ცხრილი 3. ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობები .....12
ცხრილი 4. კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში .....13
ცხრილი 5. სამოქმედო გეგმა.....18
ცხრილი 6. დაფინანსების სქემა .....22
ცხრილი 7. ქმედებებისა და შიდა მონიტორინგის გეგმა .....23

### 3.3. დანართები

**დანართი 1.** ბოლნისის მუნიციპლიტეტის მერის 2017 წლის 29 დეკემბრის #800 ბრძანება ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG)“ ფარგლებში, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის (LEDP) შესამუშავებლად სამუშაო ჯგიფის შექმნის შესახებ;
**დანართი 2.** LEDP -ის მომადების პროცესში სამუშაო ჯგუფისა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის ოქმები;
**დანართი 3.** ადგილობრივი თანამშრომლობის შეფასება;
**დანართი 4.** საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები;
**დანართი 5.** კვალიფიციური უნარების სფეროში არსებული სიტუაცია;
**დანართი 6.** ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი უნარებისა და დასაქმების შესაძლებლობების ბალანსი - სისტემური ანალიზი;
**დანართი 7.** ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ აღქმული ბოლნისის მუნიციპალიტეტი

### 3.4. შემოკლებები

**M4EG** - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“
**LEDP** - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა;
**LED** - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება;
**PPD** -კერძო და საჯარო დიალოგი;
**PPP** -კერძო და საჯარო თანამშრომლობა;
**SWOT** - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები;
**BM** - ბოლნისის მუნიციპალიტეტი;
**RDC** - რეგიონის განვითარების ცენტრი;
**EU** - ევროკავშირი;

## 4. გეგმის შესავალი

2017 წლის 7 ივნისს ბოლნისის მუნიციპალიტეტმა ხელი მოაწერა ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“, რომლის ფარგლებშიც მომზადდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების გეგმა. გეგმა შემუშავდა კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სტანდარტების შესაბამისად და 5 თემატური ბლოკიდან მოიცვა შემდეგი სამ ბლოკი: 1) მიწა და ინფრასტრუქტრა; 2) ადამიანური კაპიტალი და ინკლუზიურობა; 3) გარე პოზიციონირება და მარკეტინგი. გეგმა შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც გაწერილია საქართველოს ეროვნული სტრატეგიების ფარგლებში, მათ შორის: ა) საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020, ბ) 2016-2020 სამთავრობო პროგრამა - თავისუფლება, სწრაფი ზრდა, კეთილდღეობა და გ) 2015-2020 სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია.

ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადი განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა, რომელიც ინიციატივის მთავარ მისიას წარმოადენს. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ხელმოწერის მთავარ მიზანს, სწორედ აღნიშნული მისიის გაზიარება და ადგილობრივი საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება წარმოადგენს.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივამ მუნიციპალიტეტს მისცა შესაძლებლობა, ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად განეხილა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საჭიროებანი და მათთან ერთად დაესახა სწორი სამოქმედო გეგმა, რომელიც ნაწილობრივ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლში, საქართველოს სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 560 მ-ზე მდებარეობს. მუნიციპალიტეტის ცენტრი – ქალაქი ბოლნისი, დედაქალაქის მილიონიანი ბაზრიდან დაშორებულია 66 კმ-ით.

მუნიციპალიტეტის ფართობია 804 კმ2. მუნიციპალიტეტში შედის ერთი ქალაქი, ორი დაბა და 45 სოფელი. მუნიციპალიტეტის ტერიტორაზე გადის სომხეთის რესპუბლიკასთან დამაკავშირებელი საერთაშორისო მნიშვნელობის გზა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს რკინიგზის სადგური, რომელიც დღეისათვის სატვირთო გადაზიდვებისთვის გამოიყენება.

ბოლნისი საგზაო ინფრასტრუქტურის კუთხით მეტწილად განვითარებულია. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან ყველა დასახლებულ პუნქტამდე მისასვლელი გზა მოწესრიგებულია და ყველაზე შორს მდებარე სოფლიდან ტრანსპორტირების დრო შეადგენს 25 წუთს. დედაქალაქიდან მუნიციპალიტეტის მიმართულებით საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებები ყოველ 20 წუთში გადაადგილდება, ხოლო მგზავრობის საშუალო დრო 1 საათს და 20 წუთს შეადგენს.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა 53 590-ს შეადგენს, საიდანაც 50.02%-ს მამაკაცები, ხოლო 49,98%-ს ქალები შეადგენენ. მამაკაცების საშუალო ასაკია - 35.3 წელი, ხოლო ქალების -39.8. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობს სოფლად (74%). ბოლნისის მოსახლეობა მრავალეთნიკურია: ქართველებთან ერთად (31%), აქ ცხოვრობს აზერბაიჯანელების (63%) დიდი თემი. მოსახლეობის დანარჩენ 6%-ს წარმოადგენენ სომხები, რუსები, ბერძენი და ოსები. მუნიციპალიტეტში შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი 63%-ია. ბოლო წლების განმავლობაში იზრდება მიგრაციის ტენდენციები, განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდებს, რომლებიც სამუშაოდ ძირითადად დედაქალაქში მიდიან, იქ არსებული დასაქმების შესაძლებლობების გამო.

## 5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი წარიმართა ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ მეთოდოლოგიის შესაბამისად. 2017 წლის 29 დეკემბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, LED გეგმის მოსამზადებლად, შეიქმნა 4 კაციანი სამუშაო ჯგუფი, რომელიც კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდა. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა ადგილობრივი LED ოფიცერი. სამუშაო ჯგუფი წინასწარ ამზადებდა საკითხებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებისა და დისკუსიისთვის, შემდგომ კი განიხილავდა მათ მოსაზრებებს, რომელთა გაანალიზების შედეგად აკეთებდა შესაბამისი დასკვნებსა და კონსესუსის საფუძველზე იღებდა გადაწყვეტილებას, რომელიც აისახებოდა LED გეგმაში.

ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზის, ხედვის, სტრატეგიული მიზნებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების თითოეულ ეტაპზე, აქტიურად იყვნენ ჩართულები ადგილობრივი თვითმმართველობის (როგორც მერიის, ასევე საკრებულოს), სამთავრობო უწყებების, კერძო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. სამუშაო შეხვედრები იმართებოდა თვეში 2-3-ჯერ.

სამუშაო შეხვედრები აქტიურად იმართებოდა დაინტერესებულ მხარეებთან (იხ. დანართი 2), რომელთა შორის იყვნენ სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური ჯგუფები (გენდერი, ეთნიკური უმცირესობები, ახალგაზრდები, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და დიდი საწარმოები, საჯარო, კერძო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება), რომლის საფუძველზეც გაკეთდა ეკონომიკის სხვადასხვა სეტორისა და ქვესექტორის ანალიზი და შემუშავდა შესაბამისი სამოქმედო გეგმა. აღსანიშნავია, რომ გეგმის შემუშავების პროცესში კერძო და არასამთავრობო სექტორის დაინტერესება და ჩართულობა იყო ძალიან მაღალი.

გეგმის შემუშავების პროცესში, საზოგადოების ფართო მასების ჩასართავად ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებისა და საჯარო განხილვების გარდა გამოყენებულ იქნა ონლიან კითხვარები, სატელეფონო და პირისპირი ინტერვიუები. ამ ყოველივემ შექმნა საფუძველი იმისა, რომ დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა და ხედვების გათვლისწინებით შემუშავებულიყო ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა, რაც ყველაზე მეტად იყო მნიშვნელოვანი და სასარგებლო ადგილობრივი პარტნიორობისთვის.

## 6. ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზი

ბოლნისი არის საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტი, რომელიც გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო და სამთო-მოპოვებითი პროდუქციის წარმოების ბუნებრივი პირობებით, ისტორიული ძეგლებით და მრავალეთნიკური კულტურითა და ტრადიციებით.

ბოლნისი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით მოიპოვება ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ბარიტი, ბაზალტი ტუფი და მინერალური წყლები.

აღნიშნული რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი, ქონების გადასახადთან ერთად ადგილობრივი ბიუჯეტის ყველაზე დიდ შემოსავალს წარმოადგენს, რაც მუნიციპალიტეტის ფინანსური დამოუკიდებლობის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია. ამასთან, ბოლნისი საქართველოს იმ ექვს მუნიციპალიტეტს შორისაა, რომლებიც ცენტრალური მთავრობისგან გათანაბრებით ტრანსფერს არ ღებულობენ.

ადგილობრივი ბიუჯეტის ყველაზე მსხვილი გადამხდელები (სამთომომპოვებელი კომპანიები) სს.“RMG kooper”-ი და შპს ,,RMG GOLD”-ი არიან. მათი ყოველწლიური გადასახადები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების 70% შეადგენს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის წამყვანი ეკონომიკური დარგი წლიური ბრუნვისა და მოგების მიხედვით დამამუშავებელი მრეწველობაა, რომელიც წიაღისეულის მოპოვებას, მძიმე მრეწველობას, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოებას მოიცავს. ხოლო დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით მუნიციპალიტეტის მოწინავე დარგი სოფლის მეურნეობაა, სადაც  დასაქმებულთა 68% არის ჩართული.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წლიდან 2017 წლამდე  ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა გაზრდილია 53%-ით და მათი საერთო რაოდენობა  583-ს შეადგენს. აქედან, 569 მცირე საწარმო, 12 საშუალო და 2 მსხვილი(იხ. ცხრილი 1).

*ცხრილი 1. საწარმოთა კლასიფიკაცია მათი ზომების მიხედვით*

| *ეკონომიკური საქმიანობის ტიპი* | *რაოდენობა* | *მცირე* | *საშუალო* | *მსხვილი* |
|---|---|---|---|---|
| *სულ  რეგისტრირებულია* | ***583*** | ***97%*** | ***2%*** | ***1%*** |
| *სოფლის მეურნეობა:* | *12* | *84%* | *16%* | |
| *სამრეწველო საქმიანობა:* | *67* | *69%* | *17%* | *14%* |
| *საცალო ვაჭრობა:* | *209* | *100%* | | |
| *საბითუმო ვაჭრობა:* | *29* | *97%* | *3%* | |
| *სამედიცინო სერვისები:* | *8* | *75%* | *25%* | |
| *იურიდიული სერვისები (ნოტარიუსი, ადვოკატი):* | *9* | *100%* | | |
| *საყოფაცხოვრებო სერვისები (პარიკმახერის მომსახურება, სამრეცხაო მომსახურება, ავტომანქანის შეკეთების სერვისები, მცირე შეკეთების სერვისები):* | *7* | *100%* | | |
| *რესტორნები, კაფეები, ბარები და სხვა:* | *17* | *100%* | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *სასტუმროები, ჰოსტელები და სხვა:* | *7* | *100%* | | |
| *IT სერვისები:* | *4* | *100%* | | |
| *ტრანსპორტი:* | *37* | *98%* | *2%* | |
| *მშენებლობა, დეველოპერული ბიზნესი;* | *45* | *96%* | *4%* | |
| *საკომუნიკაციო მომსახურება:* | *3* | *100%* | | |
| *ნარჩენების გადამუშავება;* | *2* | *50%* | *50%* | |
| *კულტურული მემკვიდრეობა:* | *1* | *100%* | | |
| *სხვა:* | *126* | *100%* | | |

2017 წელს 2014 წელთან შედარებით საწარმოთა რაოდენობის მაღალი ზრდა ძირითადად დაფიქსირდა შემდეგ ეკონომიკურ საქმიანობებში: სოფლის მეურნეობა/სატყეო მეურნეობა - 140%; რესტორნები - 67%; ოპერაციები უძრავი ქონებით - 54%; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 43%; დამამუშავებელი მრეწველობა - 38%;

საწარმოების რაოდენობის ზრდასთან ერთად აგრეთვე იზრდება მუნიციპალიტეტში მოქმედი საწარმოების პროდუქციის გამოშვება და შემოსავლები. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წელს 2014 წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 58%-ით, ხოლო საწარმოების ბრუნვა 85%-ით. აღნიშნული ზრდა მეტწილად უკავშირდება სოფლის მეურნეობის დარგში პროდუქციის წარმოების ზრდას, სამშენებლო ბიზნესის განვითარებას, რაც მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მატებასთან არის დაკავშირებული.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობა მთლიანი მოსახლეობის 46,9% შეადგენს. დასაქმებული მოსახლეობის უმეტესობა (68%) დაკავებულია სოფლის მეურნეობით. სხვა მნიშვნელოვანი დასაქმების სექტორებია: მძიმე და მსუბუქი მრეწველობა (13%), განათლება (5%), ვაჭრობა (4%) მშენებლობა (3,1%) და სხვა (6,9%).

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს შიდა და საერთაშორისო ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით, მარკეტინგული ინსტრუმენტების ნაკლებობისა და გაუმართავი ტურისტული ინფრასტრუქტურის გამო, ბოლნისი არ განიხილება აქტიურ ტურისტულ ცენტრად.

მუნიციპალიტეტში, არსებული ტურისტული მომსახურების ობიექტები(კაფე/ბარები, რესტორნები, სასტუმროები, კვების ობიექტები) არსებულ მოთხოვნასთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელი არ არის. ტურიზმის სფეროში მიმდინარე ტენდენციებზე დაყრდნობით, მომდევნო წლებში მოსალოდნელია ტურისტების ნაკადის ზრდა, რითაც მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი კიდევ უფრო თვალშისაცემი და მასშტაბური გახდება.

ბოლნისი ნაყოფიერი მიწებისა და ხელსაყრელი კლიმატის გამო დიდი პოტენციალის მქონე სასოფლო-სამეურნეო მუნიციპალიტეტად არის მიჩნეული. აღნიშნული პირობები წელიწადში ორჯერ ან სამჯერ მოსავლის მიღების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, არსებობს სტიქიური მოვლენების (ძლიერი წვიმა, სეტყვა, ქარი) შედეგად, სასოფლო-სამეურნეო ნათესების დაზიანების რისკები, რომელსაც აზღვევს სახელმწიფო და სადაზღვეო კომპანიები. ასევე, არსებობს სამთომოპოვებითი საქმიანობით გამოწვეული გარემოსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაბინძურების რისკები, რისთვისაც სამთომომპოვებელ კომპანიას

შემუშავებული აქვს გარემოს დაბინძურების შემცირების 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც 30 მლნ ლარის ღონისძიებების გატარებას გულისხმობს.

სასოფლო სამეურნეო ინფრასტრუქტურის და მარკეტინგის ობიექტების არარსებობის გამო, სოფლის მეურნეობის პოტენციალი სრულყოფილად არ გამოიყენება. დარგის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია ფერმერების ინფორმირებულობისა და ცოდნის ნაკლებობა ახალი ტექნოლოგიების, საექსპორტო ბაზრების მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ.

მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საერთო ფართობი 28575 ჰექტარს შეადგენს, საიდანაც - 17000 ჰექტარს სახნავი მიწა, 1336 ჰექტარს სათიბი და 8857 ჰექტარს საძოვარი წარმოადგენს, ხოლო 1382 ჰექტარზე მრავალწლიანი ნარგავებია გაშენებული. ამჟამად, სახნავი მიწების მხოლოდ 50-60%-ია გასარწყავიანებული, რის გამოც სახნავი მიწების დაახლოებით 30% დამუშავების გარეშე რჩება.

მუნიციპალიტეტში მოყვანილი პროდუქცია უმეტესად თბილისისა და რუსთავის სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე გადის. ადგილობრივად წარმოებული საქონლის მხოლოდ მცირე ნაწილი ექსპორტირდება სომხეთში. წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ნედლეულის სახით იყიდება და მათი დამუშავება ან დაფასოება მეზობელ რეგიონებში ხდება. აღსანიშნავია, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანულ თემებში მოსავლი უმეტესად ქალებს მოჰყავთ.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს რძის პროდუქტების გადამამუშავებელი 10 მცირე საწარმო, კვერცხისა და ხორცპროდუქტების 2 საშუალო ზომის საწარმო, რომლებიც ყოველწლიურად საშუალოდ 2 500 ტონა ყველს, 15 მილიონ კვერცხს, 200 ტონა ფრინველის ხორცს და ასეულობით ტონა ღორის ხორცს აწარმოებენ.

მეღვინეობა-მევენახეობა ბოლნისში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სწრაფად განვითარებადი დარგია. ბოლო 3 წლის ტენდენცია და ადგილობრივ მევენახეების კვლევა გვიჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტს 20-მდე ახალი მარანი შეემატა. მეღვინეობის დარგის პოპულარიზაცია სხვადასხვა ფესტივალებში ადგილობრივი ღვინის წარმატებამ და პროდუქტზე მოთხოვნის ზრდამ გამოიწვია.

ადგილობრივ ღვინოზე მოთხოვნის ზრდის პარალელურად მომდევნო წლებში მოსალოდნელია საოჯახო მარნების რაოდენობის ზრდა, რადგან ბოლნისში ღვინის ბიზნესი უფრო პოპულარული და ტენდენციური გახდა. სისტემატიურად მიმდინარეობს ძველი გერმანული მარნების აღდგენა-განახლების სამუშაოები (ქ.ბოლნისში დაახლოებით 400-მდე შენობაა, სადაც არის ძველი გერმანული მარანი). ასევე, მიმდინარეობს ახალი საოჯახო მარნებისა და ღვინის მწარმოებელი ობიექტების სამშენებლო სამუშაოები.

### 6.1. ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება

სოფლის მეურნეობის დარგში არსებობს 35 მცირე გაერთიანება კოოპერატივის სახით, რომელთა შორის თანამშრომლობა პასიურ ხასიათს ატარებს. კოოპერატივში გაერთიანებული ფერმერები ვერ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და მათი მონაწილეობა გაერთიანებაში უმეტესად ფორმალურია. სხვა მიმართულებით მუნიციპალიტეტში არ არსებობს ბიზნეს/დარგობრივი ასოციაციები, რომლებიც დაეხმარებიან ბიზნესებს თანამშრომლობის ქსელის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

კერძო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობა ძირითადად გამოიხატება ინდივიდუალური შეხვედრებით მერთან და მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი კერძო სექტორს უწევს კონსულტაციებს და რეკომენდაციებს. აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობა ხელს უწყობს საჯარო-კერძო პარტნიორობის

(PPP) განვითარებას კაპიტალური ინვესტიციების განხორციელებით. თუმცა ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში, მათ შორის სოფლის მეურნეობაში წარმოების გასაძლიერებლად, საჭიროა კერძო და საჯარო დიალოგის გაძლიერება და გრძელვადიანი არხების ჩამოყალიბება.

### 6.2. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია

მუნიციპალურ ხელისუფლებას არ გააჩნია ეფექტური ინსტრუმენტები ან კარგად ჩამოყალიბებული მექანიზმები, რომ ხელი შეუწყონ ან შეინარჩუნონ უწყვეტი საჯარო-კერძო დიალოგი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე. ჯერჯერობით არ არსებობს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მცირე და საშუალო საწარმოების ან ინდივიდუალური მეწარმეებისთვის შეთავაზებული მუდმივი მომსახურება იმისთვის, რომ ამ მეწარმეებმა შეინარჩუნონ თავიანთი საქმიანობა, განახორციელონ ან მართონ საკუთარი ბიზნესი, შეასრულონ იურიდიული, ფინანსური, საგადასახადო ან სხვა ვალდებულებები.

მუნიციპალიტეტი აგროწარმოებისა და სავაჭრო სექტორში არსებულ ბიზნესებს ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი გამოწვევების შესახებ ინფორმაციებით, რაც სტიმულს მისცემდა მეწარმეებს მოეხდინათ წარმოების მოდერნიზაცია, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ახალ ბაზრებზე შესვლა. არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთო ლაბორატორიული კვლევა, რომელიც ფერმერებისთვის იქნებოდა გზამკვლევი/სახელმძღვანელო სასოფლო-სამეურნეო მიწებზე შესაბამისი კულტურების განაშენიანებით მეტი ეფექტიანობის მიღებაში.

მუნიციპალიტეტში არსებობს სურსათის ეროვნული სააგენტოს ბოლნისის სამმართველო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც ადგილობრივ ფერმერებთან პერიოდულად ატარებენ საინფორმაციო სახის შეხვედრებს და ასევე ფერმერებს ინდივიდუალურ კონსულტაციებსაც უწევენ. ადგილობრივი ეკონომიკის სხვა დარგის წარმომადგენლებისთვის მსგავის ტიპის შეხვედრები არ იმართება. ეს მხოლოდ შემოიფარგლება ინდივიდუალური კონსულტაციებით მერთან ან ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენლებთან. საჭიროა შეიქმნას ბიზნესისთვის საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც დაეხმარება სოფლის მურნეობის, ტურიზმისა და ინოვაციური მეწარმეობის დარგებში დამწყებ და მოქმედ მეწარმეებს, ბიზნეს გეგმების მომზადებასა და დაფინანსების მოპოვებაში.

ინფორმაცია მუნიციპალური ადმიისტრაციის მიერ გამოცახდებული ყველა ტენდერისა და აუქციონის შესახებ განთავსებულია შესაბამის ელექტრონულ web-გვერდებზე და აღნიშნული პროცედურები წარიმართება აბსოლიტური გამჭვირვალეობით. ადგილობრივი მედია საშუალებები, კი ინტენსიურად აშუქებენ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს.

*ცხრილი 2. მზარდი სექტორები (ქვესექტორები) &მათი გამოწვევები*

| *(მზარდი)სექტორი (ქვესექტორი)* | *მთავარი გამოწვევები, რომელთა გადაჭრისათვის საჭიროა ბიზნესის დახმარება* |
|---|---|
| *1.სოფლის მეურნეობა* | *1. სოფლის მეურნეობის დარგში ინფორმაციის და ტექნიკური ცოდნის სიმცირე ;*<br>*2. კვალიფიციური კადრების სიმცირე;*<br>*3. მარკეტინგული ღონისძიებების სიმცირე;*<br>*4. ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრის არ არსებობს;*<br>*5. ბიზნეს გეგმებზე მუშაობის არასაკმარისი გამოცდილება/ცოდნა;* |

| | |
|---|---|
| *2.ტურიზმი* | *1. გაუმართავი ტურისტული ინფრასტრუქტურა*<br>*2. მარკეტინგული სტრატეგის არ არსებობა.*<br>*3. ტურისრული ობიექტებისა და ტურისტული მარშრუტების შესახებ ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის არ არსებობა;*<br>*4. კვალიფიციური კადრების სიმცირე;*<br>*5. ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრის არ არსებობს;*<br>*6. ბიზნეს გეგმებზე მუშაობის არასაკმარისი გამოცდილება/ცოდნა;* |

### 6.3. წვდომა ფინანსებზე

ბოლნისში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეზღუდული ფინანსურ რესურსები და გამოცდილება აქვთ იმისთვის, რათა განახორციელონ ინოვაციური ქმედებები ან მიდგომები ბიზნესის განვითარების სტიმულირებისათვის, რაც კარგად იქნება მორგებული მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ კონტექსტზე და უზრუნველყოფს ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას.

მუნიციპალური და რეგიონული განვითარების ფონდები, ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის, ყოველწლიურად გამოყოფენ თანხებს სხვადასხვა სახის კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად, რაც წელიწადში საშუალოდ 3-4 მილიონ ლარს შეადგენს.

ინფორმაცია ბანკების ბიზნეს სესხების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია. ხოლო ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების გრანტებისა და დახმარებების შესახებ მეწარმეები ხშირად ინფორმაციას არ ფლობენ, რადგან ამგვარი ინფორმაცია უმეტესად უცხო ენაზეა ხელმისაწვდომი.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი 5 კომერციული ბანკების ფილიალი განთავსებულია მხოლოდ ქ. ბოლნისში და ბიზნეს სესხის მიღებით დაინტერესებულ პირებს, მრავალფეროვან პროდუქტებს სთავაზობენ. ბიზნესებს არსებული საქმიანობის მხარდასაჭერად შეუძლია მიიღოს სესხი საბრუნავი საშუალებების ფინანსირებისთვის, ძირითადი საშუალებების გასაახლებლად და სხვა მრავალი ბიზნეს ინტერესების დასაფინანსებლად. აგრეთვე, შესაძლებელია სტარტაპ ბიზნესების დაფინანსება.

5000 ლარამდე მცირე ბიზნეს სესხების გაცემისას სესხის უზრუნველყოფა არ მოითხოვება. ხოლო 5000 ლარზე მეტი თანხის მოთხოვნისას მეწარმეს შესაძლებელია დასჭირდეს უზრუნველყოფა თავდებით. 20000 ლარის და მეტი თანხის მოთხოვნისას, ზოგიერთ ბანკში საჭიროა გირაოთი უზრუნველყოფა, რაც ბიზნესებისთვის ერთგვარი შემაფერხებელი ბარიერია.

გარდა საბანკო სექტორისა, დამწყები და არსებული ბიზნესებისთვის არსებობს ფინანსებზე წვდომის სხვადასხვა შესაძლებლობები (იხ. ცხრილი 3), რომელთა შორისაა სახელმწიფო პროგრამები სოფლის მეურნეობის დარგში, ეკონომიკის სამინისტროს პროგრამა „აწარმოე საქართველო“, „შეღავათიანი აგროკრედიტი“, ევროკავშირის პროგრამა ENPARD-ი და საერთაშორისო ორგანიზაცია USAD-ის პროექტი „ზრდა“, რომლის ფარგლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტიდან შერჩეულია 6 სამიზნე სოფელი, სადაც შესაძლებელია სოფლის მეურნეობის დარგში მცირე დაფინანსებების მოპოვება და ფერმერებისთავის ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობისა და ინოვაციური მეწარმოების დარგში არსებობს სხვადასხვა სახის სახელმწიფო პროგრამები, რომლის ფარგლებშიც დამწყებ, მცირე და საშუალო ბიზნესებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ სახელმწიფო დაფინანსება. თუმცა ბიზნეს გეგმების შემუშავებაში ცოდნისა და გამოცდილების არ ქონის გამო დაფინანსებას ვერ ღებულობენ. ასევე, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მთავარ პრობლემებად გამოიკვეთა მეწარმეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების და ადგილობრივი და საერთაშორისო

დონორი ორგანიზაციების გრანტებისა და დახმარებების შესახებ ინფორმაციის სიმცირე და საბანკო-საფინანსო ინსტიტუტების მაღალი საპროცენტო განაკვეთები.

*ცხრილი 3. ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობები*

| ინსტიტუტი/ დონორი ორგანიზაცია (მათ შორის, ბანკები და სხვა საკრედიტო ორგანიზაციები | შესაძლო ბენეფიციარები (კლიენტები /ბენეფიციარები) | სასურველი ეკონომიკური სექტორები/ საქმიანობები | მინ და მაქს. თანხები რომლებიც უნდა იყოს უზრუნველყოფილი (ლარი) | მოთხოვნები (უზრუნველყოფა, თანამონაწილეობა) |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტრო („აწარმოე საქართველოში“) | ბიზნესმენები; ფერმერები | სოფლის მეურნეობა; მრეწველობა; სასტუმროს ინდუსტრია | 10000 - 5000000 | უზრუნველყოფა მოითხოვება |
| სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამა „შეღავათიანი აგროკრედიტი“ | ბიზნესმენები; ფერმერები | სოფლის მეურნეობა | 20000 - 1500000 | უზრუნველყოფა მოითხოვება |
| სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამა „დანერგე მომავალი“ | ბიზნესმენები; ფერმერები | სოფლის მეურნეობა | 10000-100000 | თანამონაწილეობა მოითხოვება |
| სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) | ბიზნესმენები; ფერმერები | სოფლის მეურნეობა | 0-100,000 | თანამონაწილეობა მოითხოვება |
| თი ბი სი ბანკის აგრო საინვესტიციო სესხი | ფერმერები | სოფლის მეურნეობა | 20000-300000 | უზრუნველყოფა მოითხოვება |
| ლიბერთი ბანკის აგროსესხი | ფერმერები | სოფლის მეურნეობა | 100-100000 | უზრუნველყოფა მოითხოვება |
| ფინკა ბანკა საქართველოს ექსპრეს აგროსესხი | ფერმერები | სოფლის მეურნეობა | 3001-60000 | უზრუნველყოფა მოითხოვება |

### 6.4. მიწა და ინფრასტრუქტურა

ბოლო წლების განმავლობაში ბიზნესის განვითარების ტენდენციების პარალელურად იზრდება მოთხოვნა, მიწაზე და უძრავ ქონებაზე. მოთხოვნა ძირითადად ფიქსირდება მიკროკომპანიებისთვის შესაფერის იზოლირებულ სავაჭრო სამუშაო სივრცეებზე, რომელიც მუნიციპალიტეტს არ გააჩნია. მუნიციპალიტეტში არსებული შენობების დიდი ნაწილი სხვადასხვა სამინისტროს საკუთრებაშია, რაც ართულებს აღნიშნული ქონების გამოყენებას საინვესტიციო მიზნით. აქტიურად მიმდინარეობს დაურეგისტრირებელი ქონების იდენტიფიცირება და რეგისტრაცია. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტში არ არის შემუშავებული საინვესტიციო პაკეტები და ინვესტორებისთვის საინტერესო მიწების და უძრავი ქონების ნუსხა.

ბიზნესების მხრიდან გაიზარდა მოთხოვნა თანამედროვე სავაჭრო, სასაწყობე და სამაცივრე სივრცეებზე. აღნიშნულ მოთხოვნებს მუნიციპალიტეტი ვერ აკმაყოფილებს.

ბოლნისში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი ბარიერია სარწყავი და სამელიორაციო სისტემის გაუმართაობა და გადამუშავების ობიექტების

ნაკლებობა. ასევე, ქარსაცავი ზოლების სიმცირის გამო მიწის გამოფიტვის/დეგრადირების საფრთხე არსებობს.

ეტაპობრივად წესრიგდება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ზონის - „კატერინენფელდის“ ინფრასტრუქტურა. აღნიშნული ზონა წარმოადგენს ქ.ბოლნისის ისტორიულ ნაწილს, სადაც რამდენიმე სახლს აქვს მინიჭებული კულტურული მემკიდრეობის სტატუსი. მისი ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე, დასახლებაში არსებული უძრავი ქონების ფასები და მათზე მოთხოვნა მზარდია.

მუნიციპალიტეტში არ არსებობს ბიზნეს იკუბატორი, ბიზნეს/ ინდუსტრიული პარკი და სამეცნიერო/ ტექნოლოგიური პარკი, რომელიც დაეხმარება დაინტერესებულ პირებს ინოვაციური ბიზნესების დაწყებასა და განვითარებაში და შესაბამისი სივრცის გამოყოფაში. თუმცა, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობით, იგეგმება ტექნოლოგიური პარკის დაარსება, რისთვისაც საჭირო იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ქალაქში.

*ცხრილი 4. კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში*

| კერძო სექტორის მიერ დასახელებული საჭიროებები ინფრასტრუქტურის ტიპის მიხედვით | არსებული მიწოდება ამ სეგმენტში | შესაძლო სამომავლო მოთხოვნები (6 წლის განმავლობაში) |
|---|---|---|
| *გასარწყავიანებული მიწები, რაც უკავშირდება სამელიორაციო სისტემის და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას* | *მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწების 60% არის გასარწყავიანებული* | *გასარწყავიანებული საოსოფლო-სამეურნეო მიწის ფართებზე მოთხოვნის ზრდა* |
| *ბიზნეს ინკუბატორის (ბიზნესისითვის, საერთო სივრცე)* | *ბიზნესისთვის საზიარო და ინდივიდუალური ფართები არ არსებობს* | *საზიარო ფართზე , საერთო სივრცეზე მოთხოვნის ზრდა* |
| *თანამედროვე ტიპის საერთო საბაზრო ტერიტორიის შექმნა* | *მუნიციპალიტეტში არსებობს მხოლოდ ერთი აგრარული გაზარი, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს* | *აგრო პროდუქტებისთვის საერთაშორისო სტანდარტების სავაჭრო ცენტრზე მოთხოვნის ზრდა* |
| *სასაწყობე და სამაცივრო სივრცეების შექმნა* | *არსებობს მხოლოდ ერთი სამაცივრე ობიექტი* | *სასაწყობე და სამაცივრე სივრცეებიზე მოთხოვნის ზრდა* |

### 6.5. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

ადგილობრივი მნიშვნელობის გადასახადს წარმოადგენს ქონების გადასახადი, რომლის განაკვეთს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობა. ასევე, მუნიციპალურ დონეზე რეგულირდება ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღება-გაუქმებისა და ადმინისტრირების საკითხები. ბოლნისის მუნიციპალიტეტში სამი სახის ადგილობრივი მნიშვნელობის მოსაკრებელი არსებობს, ესენია: დასუფთავების, სათამაშო ბიზნესის და მშენებლობის ნებართვა. მათგან, მხოლოდ მშენებლობის ნებართვას გასცემს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია.

ბიზნესის წარმომადგენლების განცხადებით მუნიციპალიტეტის მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებით გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს რიგი გაუმართლებელი წესები, რეგულაციები და სხვა ადმინისტრაციული ბარიერები. ყველაზე დიდი პრობლემა მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო პროცედურის გავლაა. ამ სფეროში არსებობს სუსტი კოორდინაცია ადგილობრივი და

ცენტრალური ხელისუფლების უწყებებს შორის, რის გამოც მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება დროში იწელება, რის გამოც ბიზნესის განვითარება ფერხდება. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად აუცილებელია ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ეფექტური საკომუნიკაციო არხების შექმნა, რომელიც მეწარმეს გაუმარტივებს მშენებლობის ნებართვის მოპოვებას.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში დანერგილია მომსახურების „ერთი ფანჯრის პრინციპი", რომელიც აადვილებს მოქალაქეებისა და ბიზნესის წვდომას მუნიციპალურ სერვისებთან.

### 6.6. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა

ადგილობრივი მოსახლეობისთვის უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღება ხელმისაწვდომია დედაქალაქთან და საგანმანათლებლო დაწესებულებეთან სიახლოვის გამო. თუმცა, ცხრილი 1-ში მოყვანილი დარგების მიხედვით, მუნიციპალტეტში არსებული უნარებისა და ადამიანური კაპიტალის არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ სოფლის მეურეობის, სამრეწველო საქმიანობის, საცალო და საბითუმო ვაჭრობის, რესტორნების, კაფეების, სასტუმროების ჰოსტელების, მშენებლობისა და დეველოპერული ბიზნესის, სამედიცინო სერვისების სფეროში არსებობს კვალიფიციური კადრების მკვეთრი დეფიციტი(იხ. დანართი 6), რომელიც საჭიროებს გადამზადებას.

ფერმერების განცხადებით, აგროსექტორი განიცდის ვეტერინარების, აგროინჟინრების, ღვინის ტექნოლოგების და სხვა აგრარული მიმართულების კადრების დეფიციტს. მათივე თქმით, საჭიროა ფერმერებისთვის ცოდნის მიწოდება დარგში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი სტანდარტების შესახებ.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2014-2017 წლების მონაცემების თანახმად, ბოლნისის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად საშუალოდ 290 მოსწავლე ამთავრებს საშუალო სკოლას, რომელთა 48% სწავლას აგრძელებს უმაღლეს სასწავლებლებში, ნაწილი კი პროფესიულ სასწავლებლებში. ახალგაზრდების უმეტესობა, რომლებიც კვალიფიციურ განათლებას იღებენ უმაღლეს სასწავლებლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაბრუნების სურვილი აღარ აქვთ.

2012 წლიდან ბოლნისში სახელმწიფო პროგრამა ***(worknet.gov.ge)*** ამოქმედდა, რომლის ადმინისტრირებას ადგილობრივი სოციალური სააგენტო უზრუნველყოფს. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სამუშაოს მაძიებლების დამსაქმებლებთან დაკავშირებას, კადრების გადამზადება/განვითარებას და უმუშევრობის დონის შემცირებას. პროგრამის ბენეფიციარები ძირითადად სოციალურად დაუცველი მოსახლეობა და სამუშაოს მაძიებლები არიან. პროგრამაში დარეგისტრირების შემდეგ, მათ აქვთ შესაძლებლობა, სისტემატიურად მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა ვაკანსიების შესახებ და სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით გადამზადდნენ სასურველ პროფესიულ მიმართულებებში და გაიუმჯობესონ ტექნიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები.

პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუდან გაირკვა, რომ პროგრამაში 2000-მდე ადგილობრივი სამუშაოს მაძიებელია რეგისტრირებული, აქედან გადამზადების კურსები მხოლოდ 5%-მა გაიარა და მათი დიდი ნაწილი სტაჟირების გავლის შემდეგ დასაქმდა.

ბიზნესები არ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რათა საერთო რესურსებით მოახდინოთნ მათთვის სასურველი კადრების გადამზადება. თუმცა არსებობს ცალკეული შემთხვევები, როდესაც მსხვილი ბიზნეს კომპანიები მემორანდუმებს აფორმებენ სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებთან, მათთვის სასურველ კადრების გადამზადების მიზნით.

### 6.7. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

LEDP-ის შემუშავების პროცესში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბოლნისი ადგილობრივების მიერ ხასიათდება როგორც საცხორებლად, საინვესტიციოდ და ტურისტული თვალსაზრისით მიმზიდველი მუნიციპალიტეტი, რომლის საფუძველსაც ქმნის მისი გეოგრაფიული მდებარეობა, დედაქალაქის მილიონიან ბაზართან სიახლოვე, ნიადაგის ნაყოფიერება, მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები, სუფთა და მოწესრიგებული გარემო, სტუმართმოყვარე და ტოლერანტული საზოგადოება. თუმცა ინვესტორებისთვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალი სათანადოდ არ არის წარმოჩენილი, რადგან არ არსებობს საინვესტიციო კატალოგები და შესაბამისი მარკეტინგული ინსტრუმენტები.

მუნიციპალიტეტში 200-მდე ისტორიული ძეგლია, რომლებსაც წელიწადში საშუალოდ 1000 უცხოელი და 5000-მდე ადგილობრივი ვიზიტორი სტუმრობს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად მასპინძლობს 500-კაციანი „სკაუტების ბანაკს“, რომელიც ახალგაზრდების გააქტიურებას და მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდას უწყობს ხელს. ამ მიმართულებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა გახდეს მიმზიდველი სკაუტური ცენტრი რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით.

საერთაშორისო ტურისტები, რომლებიც ყველაზე ხშირად სტუმრობენ მუნიციპალიტეტს, გერმანელები არიან, რაც გერმანელი კოლონისტების მიერ დატოვებული მემკვიდრეობის მიმართ ინტერესით არის გამოწვეული. ქალაქ ბოლნისში გერმანელების მიერ გოთურ სტილში ნაშენები 400-ზე მეტი სახლია, რომელთა უმეტესობაში საოჯახო მარნები პირვანდელი სახით არის შემორჩენილი, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მეღვინეობის დარგისა და ღვინის ტურიზმის განავითარებისთვის.

ბოლნისში იწარმოება ორიგინალური არომატული თვისებების მქონე, მაღალხარისხიანი ღვინოები, რომლებიც ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებზე იღებენ სხვადასხვა სინჯის მედლებს და ჯილდოებს. 2018 წლიდან კომპანია RMG-ის ფინანსური მხარდაჭერით, ადგილობრივი საოჯახო მარნებს შესაძლებლობა მიეცათ თავიანთი პროდუქცია წარმოადგინონ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე.

უახლოეს მომავალში, ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობით, ბოლნისი ღვინოების დასახელებისა და ადგილწამოშობის მიხედვით დარეგისტრირდება საქართველოს 21-ე მიკროზონად, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ღვინოების პოპულარიზაციას საერთაშორისო მასშტაბით.

ადგილობრივი ტრადიციების გაცნობისა და პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის მიზნით, ბოლო წლებში, მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში ხშირად იმართება ღვინის, ყვავილების, აგრო პროდუქტისა და ფოლკლორული ფესტივალები. ასევე, საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივ დღესასწაულს „ბოლნისქალაქობას“, რომელიც ყოველწლიურად იმართება და ქალაქში ვიზიტორების ზრდას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს მუნიციპალიტეტის მასშტაბით საფეხმავლო ბილიკების, „ღვინის გზის“ პროექტის ფარგლებში ადგილობრივი მარნების პოპულარიზაციის მიმართულებით.

## 7. SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|---|
| ● მუნიციპალიტეტის სიახლოვე დედაქალაქთან და სომხეთის რესპუბლიკასთან;<br>● კლიმატური პირობები და ნაყოფიერი მიწები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად;<br>● ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება, კერძოდ: ფერადი ლითონები (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ტყვია), მინერალური წყლები, სამშენებლო მასალები(ტუფის,ბაზალტისა და გრანიტის ქვები, ქვიშა-ხრეში), ტყისა და წყლის რესურესები;<br>● კულტურულ-ისტორიული ძეგლების სიმრავლე;<br>● მუნიციპალიტეტის ფინანსური დამოუკიდებლობა (არ არის დამოკიდებული ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერებზე), რის გამოც უადვილდება ბიუჯეტის დაგემვისა და შესრულების პროცედურები; | ● მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ინფორმაციის სიმცირე და ინვესტორებთან მუშაობის არასაკმარისი გამოცდილება;<br>● არსებული და დამწყები ბიზნესებისთვის ფინანსებზე წვდომის ნაკლებობა;<br>● გაუმართავი საქალაქო და ტურისტული ინფრასტრუქტურა, დარგში არსებული მომსახურების დაბალი დონე და მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის დაბალი მაჩვენებელი.<br>● სუსტად განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, დარგში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი ინფორმაციების შესახებ ცოდნის ნაკლებობა;<br>● კვალიფიცირებული კადრების სიმცირე;<br>● სუსტი კომუნიკაცია კერძო და საჯარო სექტორებს შორის, კერძო სექტორის დაბალი დაინტერესების გამო. |
| **შესაძლებლობები** | **საფრთხეები** |
| ● მუნიციპალიტეტში ტურისტული ნაკადების ზრდის ტენდენცია;<br>● სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშემწყობი პროგრამები სოფლის მეურნეობის დარგში;<br>● მუნიციპალური და რეგიონალური განვითარების ფონდების დაფინანსებით კაპიტალური ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობა<br>● მცირე და საშუალო მეწრმეობის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები; | ● გარემოს დაბინძურების რისკები ;<br>● სტიქიური მოვლენები;<br>● ქარსაცავი ზოლების სიმცირის გამო, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოფიტვის/დეგრადირების საშიშროება; |

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა, დედაქალაქთან და სომხეთის რესპუბლიკასთან სიხლოვე იდიალურია სატრანსპორტო და სატვირთო გადაზიდვებისთვის. რეგიონისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსებია ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული ფერადი ლითონები, ტუფისა და ბაზალტის ქვები, მინერალური სამკურნალო მჟავე და გოგირდოვანი წყლები, რაც სწორი მარკეტინგისა და

საინვესტიციო პაკეტების შემუშავებით, მნიშვნელოვნად გაზრდის ინვესტიციების მოცულობას.

მუნიციპალიტეტის კლიმატური პირობები იდეალურია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის და წელიწადში ორჯერ ან სამჯერ მოსავლის მისაღებად. სოფლის მეურეოებისა და მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები კი იძლევა საშუალებას, რომ მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის და სხვა სამრეწველო პოტენციალი ბოლომდე იქნას ათვისებული, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ჩამოყალიბებას, მათ წვდომას ფინანსებზე, უმუშევრობის დონის შემცირებას და მეწარმეთა შემოსავლების ზრდას.

დონორი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა კერძო სექტორის მოთხოვნების შესაბამისად გადაამზადოს ადგილობრივი კადრები, განახორციელოს ადგილობირვი ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, შეამციროს მცენარეთა დაავადებებისა და გარემოს დაბინძურების რისკები.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სტრუქტურის, თითოუელი თემატური ბლოკისა და SWOT ანალიზის გათვალისწინებით, პარტნიორების ყველა მონაწილე მხარის ჩართულობით შემუშავდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხედვა და სტრატეგიული მიზნები, რომლებიც ფართო საზოგადოების მიერ არის გაზიარებული.

## 8. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ხედვა და სტრატეგიული მიზნები

***სტრატეგიული ხედვა***

ბოლნისი არის საქართველოს ერთ-ერთი ეკონომიკურად სწრაფად მზარდი მუნიციპალიტეტი, რომელიც გამორჩეული იქნება თანამდეროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობით, მზარდი სამუშაო ადგილებით, მოდერნიზებული ეკონომიკით, მიმზიდველი ტურისტული, საინვესტიციო და საცხოვრებელი გარემოთი.

***სტრატეგიული მიზნები***

**1)**აგროწარმოების განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივი პროდუქტების პოპულარიზაცია;

**2)** მუნიციპალიტეტისთვის მიმზიდველი საინვესტიციო და ტურისტული იმიჯის შექმნა;

**3)** დამწყები მცირე და საშუალო ბიზნეს საქმიანობების ხელშეწყობა.

## 9. სამოქმედო გეგმა

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა (იხ.ცხრილი 5) შემუშავებულია პარტნიორობისა და ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით, რომელიც მათივე აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით განხორციელდება კონკრეტულ ვადებში. სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია აგრობიზნესის, ტურიზმის, მცირე და საშუალო ბიზნესების ხელშეწყობაზე. აქცენტი კეთდება, ბიზნეს საქმიანობებში ისეთ სოციალური ჯგუფების გააქტიურებაზე, როგორიცაა ქალები, ახალგაზრდები და ეთნიკური უმცირესობები. სამოქმედო გეგმაში გაწერილი ცალკეული ღონისძიებებისა და მთლიანი გეგმის შესრულებაზე მთავარი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი პირია ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია და მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. გეგმის განხორციელების პროცესში მუნიციპალიტეტს საექსპერტო მხარდაჭერას გაუწევს, ევროკავშირის მიერ „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის პარტნიორი ორგანიზაცია „რეგიონის განვითარების ცენტრი“.

***ცხრილი 5. სამოქმედო გეგმა***

| *თემატური ბლოკები* | *მთავარი მიზნები* | *ქმედებები/ პროექტის იდეები* | *ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)* | *მონაწილე პარტნიორები* | *საორიენტაციოღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი* | *მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები (Output (Product) indicators and targets)* | *შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები (Outcome (Result) Indicators and targets)* |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მიწა და ინფრასტრუქტურა;<br>2.უნარებისა და ადამიანური კაპიტალის განვითარება;<br>3.გარე პოზიციონირება და მარკეტინგი. | მუნიციპალიტეტში აგროწარმოების განვითარების ხელშეწყობა და ადგლობრივი პროდუქტების პოპულარიზაცია; | 1.1.თანამედროვე სავაჭრო სივრცის შექმნა და ფერმერების, მცირე და საშუალო მეწარმეების შესაფუთი დანადგარებით მომსახურების უზრუნველყოფა | 03.01.2019-01.12. 2020 | EU, ბოლნისის მუნიციპალიტეტი და აიპ. რეგიონის განვითარების ცენტრი | 375 000 ლარი (125 000 ევრო) | **მყისიერი შედეგი:**<br>1)160მ2-ზე მოწყობილია თანამედროვე სავაჭრო სივრცე აგროპროდუქტებისთვის;<br>2) შექმინილია ღვინის ჩამოსხმის, ყველისა და ხილ-ბოსტნეულის შეფუთვის მობილური სერვისი ადგილობრივი ფერმერებისთვის;<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1)მოწყობილი სავაჭრო სივრცე;<br>2) შექმნილი სერვისების რაოდენობა;<br>3) შეფუთული პროდუქციის მოცულობა; | **საბოლოო შედეგი:**<br>1) გაზრდილია ადგილობრივი ფერმერების შემოსავლები.<br><br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1)ფერმერების შემოსავლები; |
| | | 1.2. კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბება | 03.01.2019-30.12.2020 | EU,ბოლნისის მუნიციპალიტეტი და აიპ. რეგიონის განვითარების ცენტრი | 36 000 ლარი (12 000 ევრო) | **მყისიერი შედეგი:**<br>1) კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმაში ჩართულია 561 ფერმერი;<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1) მონაწილეების რაოდენობა; | **საბოლოო შედეგი:**<br>1) ფერმერები ჩართულები არიან აგროღირებულებათა ჯაჭვში და ჩამოყალიბებულია კერძო-საჯარო დიალოგის გრძელვადიანი მდგრადი არხები;<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1) აგროღირებულებათა ჯაჭვში ჩართული ფერმერების რაოდენობა |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1.3. ფერმერებისა და მეღვინეების დატრენინგება და მეღვინეებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა | 01.02.2019-30.09.2019 | EU, ბოლნისის მუნიციპალიტეტი და აიპ. რეგიონის განვითარების ცენტრი | 12 000ლარი (4000 ევრო) | **მყისიერი შედეგი:**<br>1) ჩატარებულია 2 ტრენინგი;<br>2) დატრენინგებულია 40-მდე ფერმერი აგრო-ტექნოლოგიების და ახალი შესაძლებლობების მიმართულებით.<br>4) 20-მდე მეღვინემ მიიღო ტექნიკური დახმარება, ღვინის დაყენების ტექნოლოგიებში.<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1) ტრენინგის დასწრების სია და მონაწილეთა რაოდენობა;<br>2) მეღვინეების რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ ტექნიკური დახმარება; | **საბოლოო შედეგი:**<br>1) ფერმერები ახალი ტექნოლიგების და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აწარმოებენ თავიანთ პროდუქტს<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1) ახალი ტექნოლიგების და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად წარმოებული პროდუქცის მოცულობა |
| | | 1.4. ადგილობრივი პროდუქტების გამოფენა გაყიდვებისა და ფესტივალების მოწყობა და მეღვინეების მარკეტინგული ხელშეწყობა | 01.02.2019-12.12.2020 | EU, ბოლნისის მუნიციპალიტეტი და აიპ. რეგიონის განვითარების ცენტი, კომპანია „RMG“, ადგილობრივი საოჯახო მარნები | 48 000 ლარი (16 000 ევრო) | **მყისიერი შედეგი:**<br>1) ჩატარებულია 4 ადგილობრივი გამოფანა-გაყიდვა;<br>2)საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა მიიღო 10-მდე ადგილობრივმა მეწარმემ და 15-20 საოჯახო მარანმა.<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1)ჩატარებული გამოფენა გაყიდვებისა და მონაწილეთა რაოდენობა;<br>2)საერთაშორისო ფესტივალებში ბოლნისის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეთა რაოდენობა. | **საბოლოო შედეგი:**<br>1)გაზრდილია ადგილობრივი პროდუქტების გაყიდვების მოცულობა;<br>2)გაზრდილია ადგილობრივი აგროპროდუქტების ცნობადობა.<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1)ადგილობრივი პროდუქტების გაყიდვების მოცულობა; |
| 1.მიწა და ინფრასტრუქტურა;<br>2.უნარებისა და ადამიანური კაპიტალის განვითარება; | მუნიციპალიტეტისთვის მიმზიდველი საინვესტიციო და ტურისტული იმიჯის შექმნა | 2.1.კატერინენფელდის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება | 03.01.2019-31.12.2019 | EU ,ბოლნისის მუნიციპალიტეტი და აიპ. რეგიონის განვითარების ცენტრი, | 900 000 ლარი<br><br>(300 000 ევრო) | **მყისიერი შედეგი:**<br>1)კეტერინენფელდის უბნის 1500 მ მონაკვეთზე, დაგებულია ქვაფენილი, მოწყობილია ტროტუარები, მოწესრიგებულია კანალიზაციის ქსელი, მოწყობილია გარე განათების სიტემა;<br>2) ქალაქის მასშტაბით განთავსებულია ტურისტული მარკირების ნიშნები.<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1) რეგილიტირებული ქუჩის სიგრძე და ფართობი;<br>2) მარკირების ნიშნების რაოდენობა; | **საბოლოო შედეგი:**<br>1)გაზრდილია შიდა და გარე ვიზიტორების რაოდენობა;<br>2)გაზრდილია ახალი ტურისტული ობიექტების რაოდენობა და ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობა;<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1) ვიზიტორების რაოდენობა; 2) ტურიზმის ინდუსტრიაში ახალი ბიზნესების რაოდენობა;<br>3)ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობა; |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი . | | 2.2.„კატერინენფელდის“ მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელება; | 01.02.2019-01.12.2020 | EU, ბოლნისის მუნიციპალიტეტი და აიპ. რეგიონის განვითარების ცენტრი | 30 000 ლარი (10000ევრო) | **მყისიერი შედეგი:**<br>1 )შექმინილია „კატერინენფელდის მარკეტინგული სტრატეგია.<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1) დამტკიცებული დოკუმენტი | **საბოლოო შედეგი:**<br>1)გაზრდილია ბოლნისის ცნობადობა;<br>2)გაზრდილია შიდა და გარე ვიზიტორთა რაოდენობა;<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1)შიდა და გარე ვიზიტორთა რაოდენობა |
| | | 2.3. ტურიზმის სექტორში ადამიანური რესურსების გადამზადება | 01.02.2019-30.09 .2019 | EU, ბოლნისის მუნიციპალიტეტი  და აიპ. რეგიონის განვითარების ცენტრი | 4500 ლარი (1500 ევრო) | **მყისიერი შედეგი:**<br>1) დატრენინგებულია 20-მდე ტურისტული ობიექტის მფლობელი ხარსხიანი მომსახურების მიწოდების მიმართულებით;<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1) ტრენინგის დასწრების სია და მონაწილეთა რაოდენობა; | **საბოლოო შედეგი:**<br>1)გაუმჯობესებულია ტურიზმის სექტორში არსებული მომსახურების ხარისხი;<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1)მომხარებლების კმაყოფილების დონე; |
| | | 2.4.მუნიციპალიტეტის საინვესტიციო კატალოგის შექმნა | 15.01.2020-30.09.2020 | ბოლნისის მუნიციპალიტეტი | 60000 ლარი (20 000 ევრო) | **მყისიერი შედეგი:**<br>1) შექმნილია საინვესტიციო კატალოგი;<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1) შექმნილი კატალოგი; | **საბოლოო შედეგი:**<br>1) ინვესტორების დაინტერესება და ინვესტიციების მოცულობის ზრდა;<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1) ინვესტიციების მოცულობა; |
| | | 2.5. მუნიციპალიტეტის საიმიჯო კლიპის შექმნა | 01.07.2019-01.12.2020 | ბოლნისის მუნიციპალიტეტი | 30 000 ლარი (10 000 ევრო) | **მყისიერი შედეგი:**<br>1)შექმნილია საიმიჯო კლიპი და გავრცელებულია ადგილობრივი მასმედიითა  და სოციალური ქსელებით ;<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1)საიმიჯო კლიპი და მისი მაყურებელთა რაოდენობა; | **საბოლოო შედეგი:**<br>1) გაზრდილია მუნიციპალიტეტის პოპულარულობა და<br>შიდა და გარე ვიზიტორების რაოდენობა;<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1)შიდა და გარე ვიზიტორების რაოდენობა;<br>2)ახალი ინვესტიციების მოცულობა; |
| | | 2.6. სკაუტური ბანაკის მოწყობა ფოლადაურის ხეობაში | 01.03.2019-01.10.2020 | ბოლნისის მუნიციპალიტეტი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს სკაუტური მოძრაობა | 30 000 ლარი (10 000 ევრო) | **მყისიერი შედეგი:**<br>1) ბანაკისთვის მოწესრიგებულია ინფრასტრქტურა;<br>2)დაბანაკებულია 300-500 სკაუტი;<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1) ბანაკის მონაწილეთა რაოდენობა; | **საბოლოო შედეგი:**<br>1)გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა და ტურისტების /ვიზიტორების რაოდენობა.<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1)ტურისტების/ვიზიტორების რაოდენობა |
| 1.მიწა | დამწყები | 3.1. | 01.02.2019- | ბოლნისის | 75 000 | **მყისიერი შედეგი:** | **საბოლოო შედეგი:** |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| და ინფრასტრუქტურა; 2.უნარებისა და ადამიანური კაპიტალის განვითარება. | მცირე და საშუალო ბიზნეს საქმიანობების ხელშეწყობა | საკონსულტაციო ცენტრის გახსნა არსებული და პოტენციური ბიზნესებისთვის | 01.12.2020 | მუნიციპალიტეტი და დონორი ორგანიზაცია | ლარი (25 000 ევრო) | 1) გახსნილია საკონსტულტაციო ცენტრი, რომელიც ადგილობრივ დამწყებ და არსებულ ბიზნესებს უწევს კონსულტაციას<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1) საკონსულტაციო ცენტრის სერვისების მომხმარებელთა რაოდენობა; | 1) დაარსებულია ახალი სტარტაპები;<br>2) გაზრდილია ინვესტიციების მოცულობა.<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1) ახალი სტარტაპების რაოდენობა;<br>2) გაფართოებული ბიზნესების რაოდებობა; |
| | | 3.2. ახალი ბიზნესის დასაწყებად და განსავითარებლად მეწარმეობის პრაქტიკული კურსის ჩატარება | 01.07.2019 -01.07.2020 | ბოლნისის მუნიციპალიტეტი; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 9000 ლარი (3000 ევრო) | **მყისიერი შედეგი:**<br>1) ჩატარებულია 3 ტენინგი;<br>2) დატრენინგებულია 30-მდე ახალგაზრდა ქალბატონი მათ შორის ეთნიკურად აზერბაიჯანელი/სომეხი ახალგაზრდა ქალბატონი;<br>3) ახალგაზრდებმა იციან ბიზნეს გეგმების წერა;<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1) ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა;<br>2) მონაწილებიის გამოკითვა პრეტესტი და პოსტესტი; | **საბოლოო შედეგი:**<br>1) გაიზარდა ახალგაზრდებისა და ქალების ჩართულობა ბიზნესში;<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1) მონაწილეების მიერ ბანკებში და სხვადასხვა პროექტებში წარდგენილი ბიზნეს გეგმების რაოდენობა; |
| | | 3.3.ადგილობრივი ახალგაზრდების მონაწილეობა ბიზნესმასტერკლასებში | 01.02.2019-01.10.2020 | ბოლნისის მუნიციპალიტეტი, პომორსკის მხარის ხელისუფლება, გდანსკის მერია, ამერიკული ფონდის ,,კერძო საწარმოო განათლების საფუძველი“ | 30 000 ლარი (10 000 ევრო) | **მყისიერი შედეგი:**<br>1) ყოველწლიურად 2-5 ადგილობრივი ახალგაზრდა მონაწილეობას გდანსკის ბიზნეს კვირეულში;<br>2) წარმატებული ბიზნესების გამოცდილების გაზიარება;<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1) მონაწილეთა რაოდენობა; | **საბოლოო შედეგი:**<br>1) გაიზარდა ახალგაზრდების დაინტერესება ახალი ბიზნეს საქმიანობის მიმართულებით;<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1) ახალგაზრდების მიერ განხორციელებული ბიზნეს იდეების რაოდენობა |

## 10. დაფინანსების სქემა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დაფინანსების სქემაში (იხ.ცხრილი 6) განსაზღვრული თითოეული ღონისძიების საორიენტაციო ღირებულება მოიცავს როგორც კაპიტალურ ხარჯებს, ასევე სხვა სახის ხარჯებს, გაწერილია მსგავსი ღონისძიებების მაგალითზე და არსებული გამოცდილების გათვალიწინებით. ქმედებებს შორის სახსრების განაწილება შეესაბამება გეგმაში ფარდობითი პრიორიტეტების წონას. ასევე, განსაზღვრულია პოტენციური სფეროები და აქტივობები შემდგომი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერისთვის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ან/და მსოფლიო ბანკის გუნდისათვის.

*ცხრილი 6. დაფინანსების სქემა*

| *ღონისძიებები* | *საორიენტაციო ღირებულება* | *დაფინანსების წყარო* | | | | *წყვეტა დაფინანსებაში* | *შენიშვნები* |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | *ადგილობრივი ბიუჯეტი* | *მაღალი დონის ბიუჯეტი* | *ბიზნესი* | *დონორები* | | |
| 1.1.ფერმერების, მცირე და საშუალო საწარმოების შესაფუთი დანადგარებით მომსახურების უზრუნველყოფა | 375 000 ლარი (125 000 ევრო) | 247032 ლარი (82344 ევრო) | | | 127968 ლარი (42656 ევრო) | | |
| 1.2. კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბება | 24 000 ლარი (8000 ევრო) | 3600 ლარი (1 200 ევრო) | | | 20400 ლარი (6 800 ევრო) | | |
| 1.3. ფერმერებისა და მეღვინეების დატრენინგება და მეღვინეებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა | 12 000ლარი (4000 ევრო) | 1895 ლარი (632 ევრო) | | | 10105 ლარი (3368 ევრო) | | |
| 1.4. ადგილობრივი პროდუქტების გამოფენა გაყიდვებისა და ფესტივალების მოწყობა და მეღვინეების მარკეტინგული ხელშეწყობა | 48 000 ლარი (16 000 ევრო) | 4737 ლარი (1 579 ევრო) | | 18000 ლარი (6 000 ევრო) | 25263 ლარი (8421 ევრო) | | |
| 2.1კატერინენფელდის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; | 900 000 ლარი (300 000 ევრო) | 650 145 ლარი (216 715 ვერო) | | | 249 855 ლარი (83 285 ევრო) | | |
| 2.2.„კატერინენფელდის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელება; | 30 000 ლარი (10000 ევრო) | 4 500 ლარი (1 500 ევრო) | | | 25 500 ლარი (8 500 ევრო) | | |
| 2.3. ტურიზმის სექტორში ადამიანური რესურსების გადამზადება | 4500 ლარი (1500 ევრო) | 720 ლარი (240 ევრო) | | | 3780 ლარი (1260 ევრო) | | |
| 2.4.მუნიციპალიტეტის საინვესტიციო კატალოგის შექმნა | 60000 ლარი (20 000 ევრო) | | | | | 60 000 ლარი (20 000 ევრო) | |
| 2.5. მუნიციპალიტეტის საიმიჯო კლიპის შექმნა | 30 000 ლარი (10 000 ევრო) | 30 000 ლარი (10 000 ევრო) | | | | | |
| 2.6. სკაუტური ბანაკის მოწყობა ფოლადაურის ხეობაში | 30 000 ლარი (10 000 ევრო) | 15 000 ლარი (5 000 ევრო) | | | 15000 ლარი (5000 ევრო) | | |
| 3.1. საკონსულტაციო ცენტრის გახხნა არსებული და პოტენციური ბიზნესებისთვის | 75 000 ლარი (25 000 ევრო) | 15 000 ლარი (5000 ევრო) | | | | 60 000 ლარი (20 000 ევრო) | |
| 3.2. ახალი ბიზნესის დასაწყებად და განსავითარებლად მეწარმეობის პრაქტიკული კურსის ჩატარება | 9000 ლარი (3000 ევრო) | 9000 ლარი (3000 ევრო) | | | | | |
| 3.3. ადგილობრივი ახალგაზრდების მონაწილეობა ბიზნესმასტერკლასებში | 30 000 ლარი (10 000 ევრო) | 12 000 ლარი (4000 ევრო) | | | 18000 ლარი (6000 ევრო) | | |
| *ჯამი* | **1 627 500 ლარი (542 500 ევრო)** | **993629 ლარი (331210 ვრო)** | | **18 000ლარი (6 000 ევრო)** | **495871 ლარი (165290 ევრო)** | **120 000 ლარი (40 000 ევრო)** | |

## 11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულებას კოორდინაციასა და მონიტორინგს გაუწევს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერი და პარტნიორების მიერ ჩამოყალიბებული მონიტორინგის კომიტეტი(ჯგუფი) 7 კაციანი შემადგენლობით, რომელთაგან 2 ადამიანი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობიდან, 2 - სამოქალაქო სექტორიდან, 2-ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები, 1- M4EG-ის სამდივნოდან. მონიტორინგის ჯგუფი თანაბრად იქნება დაბალანსებული ქალებით და მამაკაცებით. ჯგუფი ყოველ 2-3 თვეში ერთხელ შეიკრიბება, შეაჯამებს გაწეულ სამუშაოებს და იმსჯელებს სამომავლო ღონისძიებების განხორციელების ეფექტურ გზებზე.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმაში გაწერილ ღონისძიებების შესრულებას და მათი ეფექტიანობის შეაფასებას განახორციელებს სამუშაო ჯგუფი ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმის შესაბამისად (იხ.ცხრილი 7).

***ცხრილი 7. ქმედებებისა და შიდა მონიტორინგის გეგმა***

| *ქმედება* | *ხანგრძლივობა* | *მოსალოდნელი შედეგები თვე 1-6* | *მოსალოდნელი შედეგები თვე 7-12* | *მოსალოდნელი შედეგები თვე 13-18* | *მოსალოდნელი შედეგები თვე 19-24* |
|---|---|---|---|---|---|
| 1.1.ფერმერების, მცირე და საშუალო საწარმოების შესაფუთი დანადგარებით მომსახურების უზრუნველყოფა | 03.01.2019-01.12. 2020 | მოწყობილია თანამედროვე სავაჭრო სივრცე აგროპროდუქტებისთვის, შეძენილია შესაფუთი დანადგარები და ღვინის ჩამოსასხმელი ხაზი | ფერმერებისთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მიწოდებულია შეფუთვისა და ღვინის ჩამოსხმის სერვისი | ფერმერებისთვი, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მიწოდებულია შფუთვისა და ღვინის ჩამოსხმის სერვისი | ფერმერებისთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მიწოდებულია შფუთვისა და ღვინის ჩამოსხმის სერვისი |
| 1.2. კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბება | 03.01.2019-30.12.2020 | შემუშავებულია კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის ჩამოსაყალიბებელი სამოქმედო გეგმა | ფორმირებულია პლატფორმის მუდმივმოქმედი სამდივნო და ორგანიზებულია შეხვედრები | ორგანიზებულია და ჩატარებულია კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის შეხვედრები | პლატფორმა დანერგილია და შეფასებულია |
| 1.3. ფერმერებისა და მეღვინეების დატრენინგება და მეღვინეებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა | 01.02.2019წ -30.09.2019 | ტრენინგ კურსის შესასყიდად გამოცხადებულია ტენდერი | ფერმერებისთვის ჩატარებულია ტრენინგ კურსი | | |
| 1.4. ადგილობრივი პროდუქტების გამოფენა გაყიდვებისა და ფესტივალების მოწყობა და მეღვინეების მარკეტინგული ხელშეწყობა | 01.02.2019-12.12.2020 | ფესტივალის გასამართად მოძებულია ადგილი და გამოვლენილია ფესტივალის მონაწილეები | მოწყობილია გამოფენა-გაყიდვები და ფესტივალი, უზრუნველყოფილია საერთაშორისო ფესტივალებში ადგილობრივი ფერმერების/მეწრმეების მონაწილეობა | ფესტივალის გასამართად მოძებულია ადგილი და გამოვლენილია ფესტივალის მონაწილეები | მოწყობილია გამოფენა-გაყიდვები, უზრუნველყოფილია საერთაშორისო ფესტივალებში ადგილობრივი ფერმერების/მეწრმეების მონაწილეობა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2.1.„კატერინენფელდის“ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება | 03.01.2019-31.12.2019 | კატერინენფელდის ინფრასტუქტურის მოსაწესრილებლად გამოცხადებულია ტენდერი | მოწესრიგებულია კატერინენფელდის საგზაო, საკანალიზაციო და გარე განათების ინფრასტუქტურა | | |
| 2.2.ქ.ბოლნისის ისტორიული უბნის„კატერინენფელდის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელება; | 01.02.2019-01.12.2020 | მარკეტინგული სტრატეგიის შესაქმნელად გამოცხადებულია ტენდერი | „კატერინენფელდის“ მარკეტინგული სტრატეგია დამტკიცებულია | განხორციელებულია 2020 წლის 1-6თვეების ღონისძიებები | განხორციელებულია 2020 წლის 6-12 თვეების ღონისძიებები |
| 2.3. ტურიზმის სექტორში ადამიანური რესურსების გადამზადება | 01.02.2019-30.09.2019 | ტრენინგების  კურსის მომსახურების შესყიდვისთვის გამოცხადებულია ტენდერი | ჩატარებულია ტრენინგები და პრაქტიკული სწავლებები | | |
| 2.4.მუნიციპალიტეტის საინვესტიციო კატალოგის შექმნა | 15.01.2020-30.09.2020 | | | შექმნილია საინვესტიციო კატალოგი | საინვესტიციო კატალოგი განთავსებულია ინტერნეტ სივრცეში |
| 2.5. მუნიციპალიტეტის საიმიჯო კლიპის შექმნა | 01.07.2019-01.12.2020 | | საიმიჯო კლიპის შესაქმნელად გამოცხადებულია ტენდერი | შექმილია საიმიჯო კლიპი | საიმიჯო კლიპი გავრცელებულია სოციალური ქსელებით და მედია საშუალებებით |
| 2.6. სკაუტური ბანაკის მოწყობა ფოლადაურის ხეობაში | 01.03.2019-01.10.2020 | მოწობილია სკუტური ბანაკი | სკაუტები დაბანაკებულია და ჩატარებულია სკაუტური ფესტივალი | მოწობილია სკუტური ბანაკი | სკაუტები დაბანაკებულია და ჩატარებულია სკაუტური ფესტივალი |
| 3.1. საკონსულტაციო ცენტრის გახხნა არსებული და პოტენციური ბიზნესებისთვის | 01.02.2019-01.12.2020 | მოძიებულია დონორი ორგანიზაციები | მოპოვებულია გრანტი | მოწყობილია საკონსულტაციო ცენტრი | ადგილობრივი დაინტერესებული პირებისთვის გაწეულია კონსულტაციები |
| 3.2. ახალი ბიზნესის დასაწყებად და განსავითარებლად მეწარმეობის პრაქტიკული კურსის ჩატარება | 01.07.2019 -01.07.2020 | | შესყიდულია ტრენინგ კურსების მომსახურება | ჩატარებულია ტრენინები | |
| 3.3.ადგილობრივი ახალგაზრდების მონაწილეობა ბიზნესმასტერკლასებში | 01.02.2019-01.10.2020 | შერჩეულია ბიზნესმასტერკლასებში მონაწილე ახალგაზრდები | ადგილობრივმა ხალგაზრდებმა მონაწილეობა მიღეს ბიზნესმასტერკლასებში | შერჩეულია ბიზნესმასტერკლასებში მონაწილე ახალგაზრდები | ადგილობრივმა ხალგაზრდებმა მონაწილეობა მიღეს ბიზნესმასტერკლასებში |